## ტერიტორიული საზღვრები:

საქართველო

## მისია:

შეიქმნას უნიკალური გარემო საქმიანი ურთიერთობების შექმნის, გაფართოების და ინფორმაციის მიმოცვლისათვის ბიზნესის წარმომადგენლებს შორის.

## მიზანი:

წაახალისოს და მხარი დაუჭიროს ღირსეული სამეწარმეო საქმიანობის იდეალებს, კერძოდ, წაახალისოს და მხარი დაუჭიროს:

1. პირადი კონტაქტების განვითარებას, როგორც წარმატებული საქმიანობის დამატებით შესაძლებლობას.
2. მაღალი ეთიკური პრინციპების დამკვიდრება საქმიან და პროფესიონალურ სფეროებში;
3. საერთაშორისო ურთიერთგაგების, კეთილი ნების, მშვიდობის, მსოფლიო პარტნიორობის გავრცელება იმ ბიზნესმენებს შორის, რომლებიც მზად არიან საზოგადოების სამსახურისთვის.

## პრივილეგიები:

- ურთიერთობა და კავშირის დამყარების შესაძლებლობა ადამიანებთან, რომლებსაც საერთო იდეალები და ღირებულებები აქვთ.
- კლუბის მიერ ორგანიზებული ექსკლუზიურ პროგრამებზე დასწრების შესაძლებლობა
- ფორბსის საერთაშორისო კლუბის წევრებთან ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობა
- ბიზნესისა და პარტნიორობის საზღვრების გაფართოების შესაძლებლობა
- კლუბის მიერ მოპოვებული პრივილეგიებითა და ფასდაკლებებით სარგებლობის შესაძლებლობა.

## წევრობის კანდიდატები:

დადებითი საქმიანი და პროფესიონალური რეპუტაციის მქონე ადამიანები, მსხვილი და საშუალო ბიზნესის ხელმძღვანელები და მფლობელები, კულტურის მოღვაწეები, ქართველი და უცხოელი პოლიტიკოსები, დიპლომატები, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეები, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობას ეწევიან.

## წევრობის სახეები:

### არსებობს 2 სახის წევრობა:

1. მოქმედი წევრები – პირები, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობას ეწევიან.
2. საპატიო წევრები – პირები, რომლებსაც დიდი დამსახურება და ღვაწლი მიუძღვით ბიზნესის, კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების და სხვადასხვა დარგების განვითარებაში და რომლებმაც შეწყვიტეს სამეწარმეო და პროფესიონალური საქმიანობა. ასევე უცხოეთში მოღვაწე საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რეგულარულად ვერ ესწრებიან კლუბის შეკრებებს.

## განევრიანების პირობები:

კლუბში გაწევრიანება შესაძლებელია კლუბისგან მოწვევის მიღების შემთხვევაში.

ასევე კლუბის უკვე მოქმედი წევრების რეკომენდაციით.

კლუბში ახალი წევრის მიღებაზე – გადაწყვეტილებას იღებს ფორბსის დირექცია.

## შეკრება:

კლუბის შეკრება ტარდება თვეში ერთხელ განსაზღვრულ დროსა და ადგილას

გამონაკლისს შემთხვევებში (გასვლითი შეკრებები, საპატიო მიზეზის გამო) შეკრება შეიძლება გადატანილი იქნას სხვა დროს და სხვა ადგილას.

შეკრება შეიძლება გაუქმებული იქნას სახელმწიფო დღესასწაულებისა და ფორს-მაჟორული სიტუაციების დროს.

ასევე შეკრება შეიძლება გაუქმებული იქნას სხვა საპატიო მიზეზის გამო, რომელიც არ არის მითითებული ზემოთ. ამასთანავე გაუქმება არ შეიძლება მოხდეს 2-ჯერ ზედიზედ.

## საწევრო გადასახადი:

კლუბის მოქმედი წევრებისათვის წლიური საწევრო გადასახადი სიმბოლურია და შეადგენს 150 ლარს.

საწევრო იხდება წელიწადში 2-ჯერ, თანაბარი წილებით, 15 მარტს და 15 ივნისს.

ამასთან, წლის განმავლობაში, ყოველთვიურად მოგეწოდებათ ჟურნალ Forbes ახალი ნომერი.

კლუბის საპატიო წევრები გათავისუფლებულნი არიან საწევრო გადასახადისაგან.

## კლუბის წევრების მოვალეობები:

კლუბის შეკრებებზე დასწრება აუცილებელი მოთხოვნაა კლუბის მოქმედი წევრებისთვის. კლუბის წევრები, რომლებიც ზედიზედ 4 შეკრებას არ დაესწრებიან (გარდა საპატიო მიზეზებისა), ავტომატურად ირიცხებიან კლუბიდან.

ახალი ღირსეული წევრების შერჩევა და რეკომენდაციის გაწევა კლუბის ყველა წევრის პრივილეგია და პასუხისმგებლობაა.

კლუბის წევრები ვალდებულნი არიან არ გაავრცელონ კლუბის დახურულ შეხვედრებზე მიღებული ინფორმაცია და მასალები.

## კლუბის წევრებისა და საზოგადოების ინფორმირება:

კლუბის ხელმძღვანელობა იღებს ვალდებულებას მიაწოდოს კლუბის წევრებს დეტალური ინფორმაცია კლუბის შეკრებების შინაარსის და ღონისძიებების შესახებ.